

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ეთიკის კოდექსი

პრეამბულა

ვაცნობიერებთ რა საკუთარ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, ვითავისებთ რომ წარმოვადგენთ კერძო ბიზნესს და იმავდროულად საგანმანათლებლო დაწესებულებას, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრები ვთანხმდებით, რომ დავიცვათ ქვეყნის დადგენილი ეთიკური ნორმები, რაც მიზნად ისახავს სამართლიანობის, გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპების განხორციელებას ერთმანეთთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პერსონალთან და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

ამ კოდექსის ნორმათა აღიარება წარმოადგენს ასოციაციის წევრობის აუცილებელ პირობას.

ეთიკის ნორმები

1. კოლეჯები არც ერთ პირს არ გაუწევენ დისკრიმინაციას მათი ეროვნულობის, რწმენის, სქესის, რასის, წარმომავლობის, სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებების გამო;
2. კოლეჯები სტუდენტებთან და პერსონალთან მიმართებაში იქნებიან კორექტული და სამართლიანი;
3. კოლეჯები იქნებიან სტუდენტის მომსახურებაზე ორიენტირებულნი;
4. წევრის მიერ გამოყენებული ციფრული ან ბეჭდური სარეკლამო მასალები, ასევე საჯარო განცხადებები იქნება ცალსახად გასაგები და სწორი. ის არ იქნება დამაბნეველი, შეცდომაში შემყვანი ან ასოციაციის ან მისი სხვა წევრებისათვის დამამცირებელი ან შეურაცმყოფელი;
5. კოლეჯები არ გამოიყენებენ ასოციაციის წევრი ან არაწევრი დაწესებულების სახელს ან ლოგოტიპს, რაც გამოიწვევს ასოცირებას ამ დაწესებულების წერილობითი თანხმობის გარეშე;
6. კოლეჯები თანხმობის გარეშე არ გამოიყენებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, გამოცდების ეროვნული ცენტრის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ლოგოტიპს და არ გააკეთებენ განცხადებებს ამ დაწესებულებების სახელით;
7. კოლეჯები დაწესებულებასთან მიმართებაში არ გამოიყენებენ სიტყვას „აკრედიტებული“;
8. კოლეჯები გასაჯაროების მიზნით ასოციაციას მიაწვდიან ინფორმაციას სახელმწიფო უწყებების მიერ ზოგად საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების ან რეკომენდაციების შესახებ, რაც შესაძლოა საერთო ინტერესის საგანს წარმოადგენდეს;

9. კოლეჯები არგამოაცხადებენ მიღებას ისეთ პროგრამებზე და ისეთ ადგილას, რისი განხორციელების უფლებამოსილებაც კანონით დადგენილი წესით არა აქვს მიღებული;
10. ერთმანეთის ძირითადი დაწესებულების სამოქმედო არეალში იმავე მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებით საგანმანათლებლო საქმიანობის წამოწყების შემთხვევაში გაუწევენ ერთმანეთს ფასისმიერ დისკრიმინაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაწესებულება დაასაბუთებს, რომ არსებულზე დაბალი ფასი დოტაციების გარეშე იძლევა სრულფასოვანი პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას;
11. ინფორმაცია დაწესებულების მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ იქნება მკაფიო და გასაგები, კანონის მოთხოვნებთან თავსებადი;
12. კოლეჯები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის ინფორმაცია მიწოდებას კონკრეტული კვალიფიკაციის შესაბამისი საფეხურების არსებობის შესახებ;
13. კოლეჯების წარმომადგენლები წინასწარი განზრახვით არ იქონიებენ გავლენას ასოციაციის წევრი სხვა სასწავლებლის თანამშრომელზე, რათა სამუშაოდ გადავიდეს ამ სასწავლებელში. ყოველი ასეთი შემთხვევა განხილულ იქნება სასწავლებლებს შორის;
14. კოლეჯების წარმომადგენლები წინასწარი განზრახვით არ იქონიებენ გავლენას ასოციაციის წევრი სხვა სასწავლებლის სტუდენტებზე რათა გადავიდნენ ამ სასწავლებელში ან შეცვალონ სასწავლო კონტრაქტი მისი ხელმოწერის შემდეგ;
15. კოლეჯები ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩაერთვებიან მხოლოდ საკუთარი სტუდენტური და ადამიანური რესურსით, თუ ამას ითვალისწინებს ღონისძიების პირობა;
16. სწავლის მსურველებთან არ იქნება გამოყენებული კანონსაწინააღმდეგო და ცრუ დაპირებები, როგორცაა დაუსწრებელი სწავლება, მოკლე ვადებში პროგრამის დამთავრება და სხვა;
17. პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობა 60 კრედიტიანი პროგრამისათვის იქნება არანაკლებ 38 სასწავლო კვირისა. სხვა მოცულობის პროგრამებისათვის სწავლების ხანგრძლივობა გაიანგარიშება პროპორციულად;
18. ინფორმაცია სტუდენტის მიერ სწავლის პერიოდში გასაწევი დამატებითი ხარჯების შესახებ იქნება თავისუფლად ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის (ჯარიმები, გამოცდების გადაბარება, სასწავლო მასალების შეძენა, დიპლომის ან ცნობის გაცემა და სხვა);
19. კოლეჯები სწავლის საფასურს განსაზღვრავენ ერთი კრედიტისათვის დადგენილიოდენობის შესაბამისად;
20. კოლეჯები არ შექმნიან ხელოვნურ ბარიერებს სტუდენტთა მობილობის პროცესში;
21. კოლეჯები დაიცავენ ასოციაციის სხვა წევრი კოლეჯების იმიჯს, ერთმანეთის შესახებ არც ოფიციალურად და არც არაოფიციალურად არ გაავრცელებენ პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ განცხადებებს და კონფიდენციალურ ინფორმაციას რაცმათთვის ცნობილი გახდა ასოციაციის კრებებზე, კოლეჯებში ვიზიტისას, ასოციაციის ცხელი ხაზის მეშვეობით ან სხვა წყაროებიდან;

22. კოლეჯები არ შელახავენ ასოციაციის იმიჯს ისეთი ქმედებებით, როგორცაა სტუდენტთან კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობა, უღირსი ქცევა, სასწავლო პროცესის არაადეკვატური უზრუნველყოფა, სტუდენტის არასამართლიანი და მიკერძოებული შეფასება და სხვა;
23. კოლეჯები მაქსიმალურად გამოიყენებენ საკუთარ ინტელექტუალურ პოტენციალს ასოციაციის საერთო მიზნების მისაღწევად.

დასკვნითი დებულებები

- ამ კოდექსის მიზნებისათვის „კოლეჯი“ ნიშნავს ასოციაციის წევრ ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებას ან მის წარმომადგენელს: ხელმძღვანელს და პერსონალს.
- ამ კოდექსზე ხელმოწერით კოლეჯი უფლებამოსილებას აძლევს ასოციაციას გამოიკვლიოს ნებისმიერი საჩივარი ან ინფორმაცია წევრი კოლეჯის ან მისი წარმომადგენლის მიერ ამ კოდექსის დებულებათა დარღვევის შესახებ, ასევე ითანამშრომლოს ასოციაციასთან საკითხების გამოკვლევის პროცესში.
- ამ კოდექსზე ხელმოწერით კოლეჯი აცნობიერებს, რომ ამ კოდექსის დებულებათა აღიარება წარმოადგენს ასოციაციის წევრობის აუცილებელ პირობას, ასოციაციის წევრობის მოთხოვნით განაცხადის შემოტანა ავტომატურად ნიშნავს ამ კოდექსის დებულებათა აღიარებას.
- ამ კოდექსზე ხელმოწერით კოლეჯი აცნობიერებს, რომ მის მიერ ამ კოდექსის ნორმათა დარღვევა, მის მიმართ წარმოებული დავის განხილვაში მონაწილეობისათვის ან დავასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე სათანადო დასაბუთების გარეშე თავის არიდება ან უარი, წარმოადგენს ასოციაციიდან გარიცხვის ერთ-ერთ საფუძველს.
- ამ კოდექსის ნორმათა დარღვევის საფუძველზე წევრობა შეწყვეტილ კოლეჯს ასოციაციის წევრობის მოპოვების შესახებ განაცხადის ხელახალი წარდგენის უფლებამოსილება წარმოეშობა წევრობის შეწყვეტიდან ორი წლის შემდეგ.
- ამ კოდექსზე ხელმოწერით კოლეჯი აღიარებს ასოციაციის უფლებამოსილებას, საჯაროდ გამოაქვეყნოს ინფორმაცია წევრი კოლეჯის ასოციაციიდან გარიცხვის შესახებ.
- კოდექსში ცვლილებები შედის მათი ხელმძღვერი მხარეების კონსენსუსის გზით.
- წინამდებარე კოდექსის ნორმათა შესრულების მონიტორინგს, მასთან დაკავშირებული საჩივრებისა და დავების განხილვას ახორციელებს ასოციაციის ადმინისტრაციული კომიტეტი.
- როდესაც სადავო განხილვის ერთ-ერთი მხარეა კომიტეტის წევრი, ის აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრაში არ მონაწილეობს.
- ეს კოდექსი ასოციაციის წევრების მიერ ხელმოწერისათვის ღიაა 2014 წლის 01 ნოემბრამდე. ხელმოწერა ხდება ასოციაციის პრეზიდენტისათვის ოფიციალური წერილის გაგზავნით ეთიკის კოდექსის დებულებათა სავალდებულოდ, დათქმის გარეშე აღიარების თაობაზე. აღნიშნულ ვადებში ხელმოწერის დადგენილი

პროცედურით შეუსრულებლობის შემთხვევაში კოლეჯს უწყდება ასოციაციის წევრის სტატუსი.